საქართველო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

მერია

ქ. დედოფლისწყარო 21 / აპრილი / 2021 წ.

ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44. 1600, ტელ: 035622503
Dedoplistskaro, N44, M. Kostava str. 1600, Tel: 035622503
www.dedoplistskaro.ge E-mail. dedoplistskaro_region@yahoo.com

KA000072743013221

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება № 254-ს

### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე, 30-ე, 35-ე და 37-ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“, ,,ე.ე“, ,,ე.ი“ ქვეპუნქტების, და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის 26 მარტის №01/837 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის 3 ფურცელი).

2. დაევალოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს დანართის შესაბამისად გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოს შესრულება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს დავით ფხოველიშვილს

4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ცოტნე დადიანის ქ. №15) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ნიკოლოზ ჯანიაშვილი